

ჩემი გრაფიკული ისტორია

საბჭოთა რეპრესიები აჭარაში
კომიქსების ენაზე

MY GRAPHIC HISTORY

Soviet Repressions in Adjara Through
Comic Books

ავტორები: ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახე-
ლობის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეები

Authors: Pupils of Batumi St. Matthias Apostle Gymnasium-
Boarding School

რედაქტორი: ანტონ ვაჭარაძე

Editor: Anton Vacharadze

ლექტორები: ეკა კალანდაძე, ლია დეკანაძე

Lecturers: Eka Kalandadze, Lia Dekanadze

ფოტოგრაფი: ედუარდ მჟავანაძე

Photographer: Eduard Mzhavanadze

დიზაინერი: ლაშა მაჭარაშვილი

Designer: Lasha Matcharashvili

განსაკუთრებული მადლობა გიმნაზია-პანსიონის ხელ-
მძღვანელს, დედა სიდონიას (დარჩია) და მოსწავლე-
ლებს: ნინო გაბუნias, ნატალია ზაზაშვილს

Special thanks to the head of the Gymnasium-Boarding
school, mother Sidonia (Darchia) and teachers: Nino Gabunia,
Natalia Zazashvili

ISBN 978-9941-8-4017-3

ISBN 978-9941-8-4017-3



ბროშურა გამოიცა „International Coalition of Sites of
Conscience“-ისა და შვედეთის საერთაშორისო განვითა-
რების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური
მხარდაჭერით, პროექტის „ინტერ-რელიგიური ურთიერ-
თგაგება გრაფიკული ხელოვნების საშუალებით“ ფარგ-
ლებში.

The brochure was published with the financial support of the
International Coalition of Sites of Conscience and the Swedish
International Development Cooperation Agency (Sida) as part
of the project "Interreligious Mutual Understanding through
Graphic Arts".

წიგნის იტყვამბა

PREFACE



იოსებ სტალინი

ასე დაინახა ის ერთ-ერთმა
მოსწავლემ

Joseph Stalin

this is how one of the students
saw him

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა ერთთვიანი ომის შემდეგ დაიპყრო საქართველოს პირველი რესპუბლიკა. ოკუპანტების კალთას ამოფარებული ქართველებისა და წითელი ხიშტის წინაშე ქვეყანა უძლური აღმოჩნდა. შესაბამისად, საქართველოს ისტორია მალევე გაგრძელდა საბჭოთა კავშირში – როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ბოროტ იმპერიაში, რომლისთვისაც ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არ ჰქონდა...

განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა XX საუკუნის ოცდაათიანი წლები, ყველაზე ბნელი და შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში. ეს იყო შეუბრალებლობის ხანა, როცა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს გასამართლებისა და ბრალის დადასტურების გარეშე ხვრეტდნენ ან შორეულ, უკაცრიელ ადგილებში ასახლებდნენ. მათი ოჯახის წევრებს, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ღია ცის ქვეშ ტოვებდნენ, ართმევდნენ სახლებს და, რაც მთავარია, ულახავდნენ ღირსებას „სამშობლოს მოღალატის“ ოჯახის წევრის იარლიყით.

სულ საქართველოში 30,000-მდე ადამიანი გახდა დიდი ტერორის მსხვერპლი, მათ შორის უმრავლესობა დაიხვრიტა, დანარჩენი კი უზარმაზარი იმპერიის გადაკარგული ადგილების – ციმბირის, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთის გრძელ და სუსხიან გზას გაუდგა, საიდანაც მათი უმრავლესობა უკან ვეღარ დაბრუნდა. 3,616 ადამიანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, იოსებ სტალინის უშუალო ხელმოწერით დაიხვრიტა – „დიდმა ბელადმა“ განსაკუთრებით საკუთარი ქვეყნის შვილები არ დაინდო – კაკვასიის სხვა ორ ქვეყანაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, რეპრესიების მასშტაბი გაცილებით ნაკლები იყო.

მას შემდეგ, რაც 2019 წლიდან ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ, მეუფე დიმიტრისა და დედა სიდონიას თაოსნობით, განაცხადა

In 1921, Bolshevik Russia conquered the First Republic of Georgia after a month-long war. The country appeared powerless against the Georgians working under the occupiers and the latter's attack. Consequently, the history of Georgia soon continued under the rule of the Soviet Union - later to turn out as one of the cruelest empires in world history, for which human life had no value...

The 30s of the XX century turned out to be particularly difficult – one of the darkest spots within Georgian history. It was a period of impunity, when completely innocent people were shot or deported to remote, uninhabited places without trial or conviction. Their family members, the elderly, women, and children were evicted into the open, with their homes confiscated, and, most importantly, their dignity violated with the labels such as “traitor's relatives”.

A total of 30,000 people in Georgia fell victim to the Great Terror, most of whom were shot dead, while the rest set out on a long and arduous journey through the remote parts of a vast empire - Siberia, Central Asia and the Far East, from which most were not able to return. 3,616 people were shot dead under the direct signature of Joseph Stalin, chairman of



საბჭოთა კავშირის მსხვერპლთა მასობრივი სამარხების ხელვაჩაურში აღმოჩენის თაობაზე, რეპრესირებულთა საკითხის შესწავლის კუთხით, ბათუმი საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად იქცა. ეპარქიამ და საზოგადოებამ, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), რომელიც დაარსებულიდან, 2009 წლიდან, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რეპრესირების შესწავლას, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ რთული და მრავალნაზნაგოვანი, შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობის საკითხის გადასაჭრელად. მათ შორის აღსანიშნავია ამერიკელ და პოლონელ არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა სამეცნიერო ჯგუფების მოწვევა საქართველოში ახალი სამარხების აღმოსაჩენად და არსებულის შესასწავლად, ასევე ამ საკითხში გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების კონფერენცია და მათგან მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღება.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება ყველა სამარხის აღმოჩენა და გახსნა, რეპრესირებულთა საზოგადოებრივი პანაშვიდით დაკრძალვა. იმ ადგილას, რომელიც საბჭოთა ტერორის სიმბოლო გახდა, ლამაზი ბაღის გაშენება და მუზეუმის აგება, რათა ყველა სტუმარმა გაიაზროს, რომ მსგავსი ტრაგედია აღარასოდეს განმეორდეს. საქართველოს მხრიდან კი ეს იქნება ბოროტების იმპერიასთან დამაკავშირებელი ჯაჭვისწყვეტის მიმანიშნებელი კიდევ ერთი სიმბოლური აქტი.

რეპრესირების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, საკითხის გარშემო მუდმივი საუბარი და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ამ მიმართულებით ინტერესის გაღვივება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა: 2021 წლის 11 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, IDFI-ს

the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union – the "Great Leader" was particularly merciless towards the children of his own country of origin, all the while in two other countries of the Caucasus - Azerbaijan and Armenia - the scale of the repressions was much lower.

After the Diocese of Batumi and Lazeti, under the leadership of Reverend Dimitri and Mother Sidonia, announced the discovery of mass graves of Soviet victims in Khelvachauri in 2019, Batumi became the most important place in Georgia

for the study of the issue of the repressed. The Diocese and the community, including the Institute for the Development of Freedom of Information (IDFI), which since its inception in 2009 has attached great importance to the study of repression, have taken several important steps to address this complex and multifaceted, one could even say historic, issue. As for IDFI's efforts, it should the invitation of the scientific groups composed of American and Polish archaeologists and anthropologists should be mentioned. The groups were involved in the discovery of new mass graves in Georgia as well as in studying the existing ones. Additionally, IDFI organized an

international conference involving experts specialized in this field that provided an important platform for exchange.

The next important steps involve the discovery and opening of all of the mass graves and the public funeral and burial for the repressed. In the place that became a symbol of Soviet terror, the goal is to cultivate a beautiful garden and build a museum, where all visitors can understand the history so that such horrors will never happen again. From the Georgian standpoint, this will be another symbolic act indicating the breaking of the chain connecting it to the evil empire.



თანამშრომლებმა, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის, „International Coalition of Sites of Conscience“-ისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ინტერ-რელიგიური ურთიერთგაგება გრაფიკული ხელოვნების საშუალებით“ ფარგლებში, ერთი კვირის მანძილზე წმინდა მათათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდელებთან, სხვადასხვა ასაკის სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარეს შეხვედრების ციკლი, რომლის დროსაც მათ უყვებოდნენ რეპრესირებული ისტორიებს და ერთად განიხილავდნენ ქვეყნის ამ უმძიმეს პერიოდს. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო, როგორი მსგავსი ბედის ქვეშ აღმოჩნდნენ განხვავებული რელიგიის ადამიანები საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

სასკოლო გაკვეთილებითა და შემდეგ დავალებების მომზადებით გადაღლილი ბავშვისთვის, დამატებითი ისტორიების მოსმენა უინტერესო რომ არ ყოფილიყო, სამდღიანი ლექციის შემდეგ გადაწყდა რეპრესიის მსხვერპლთა ისტორიების შესახებ კომიქსების დახატვა.

წინამდებარე ბროშურაში გთავაზობთ რამდენიმე რეპრესირებულის ისტორიასა და ამ ისტორიების მიხედვით გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდელების მიერ დახატულ კომიქსებს.

ანტონ ვაჭარაძე, ისტორიკოსი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)

მეხსიერების და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი

2021 წელი

Informing the public about the repressions, fostering ongoing conversation around the topic, and especially cultivating interest in this topic among the younger generations is another particularly significant challenge: between October 11 and 15 of 2021, the representatives of IDFI, within the framework of the project "Interreligious Understanding through Graphic Arts", supported by partner international organization, the International Coalition of Sites of Conscience, and the Swedish International Development Cooperation Agency (Sida), held a series of meetings over the course of a week with the pupils of different ages of the St. Matthias Apostle Gymnasium-Boarding School. During the meetings, they spoke about the personal histories of the repressed and discussed this difficult period of the country's history. Among the most important issues were the fate of the people of different religious denominations under the Soviet totalitarian regime. The discussions covered the matter of the similar dreadful fate of the people of different religious believes.

In order to make the discussion and learning process more engaging and innovative for the students tired from the schoolwork, after three days of lectures it was decided to draw comics about the stories of victims of repression.

In this brochure, we present the stories of some of the victims of repression and the comics about them drawn by the pupils of the gymnasium-boarding school.

Anton Vacharadze, Historian

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

Memory and Disinformation Studies Direction Head

2021

**რევრესიების ისტორიის
მოკლე მიმოხილვა**

**SHORT OVERVIEW OF THE HISTORY
OF REPRESSIONS**

რეპრესიები საქართველოში გასაბჭოებიდანვე დაიწყო - 1921 წელს უამრავი ადამიანი დააკავეს პოლიტიკური მოტივით, „მენშევიკებთან“ კავშირის გამო თუ სხვა ბრალდებით. თითქმის ყველა პოლიტიკოსი თუ საჯარო მოხელე, ვინც პირველ რესპუბლიკის შემდეგ ქვეყანაში დარჩა, მოექცა ამ ვრცელ სიაში, თუმცა ბევრი მათგანი შემდგომში გათავისუფლდა. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგობის ჯგუფები საქართველოს ოკუპაციისთანავე ჩამოყალიბდა, მათ მიზანს საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო და-

The repressions in Georgia began upon joining the Soviet Union - in 1921 many people were arrested for political reasons, for their connection with the "Mensheviks" or on other charges. Almost every politician or public official who remained in the country after the First Republic was included in this extensive list, although many were subsequently freed. It should be noted that resistance groups were formed immediately after the occupation of Georgia, with their goal being to regain Georgia's independence from Soviet Russia.

A particularly important organization was the Independence Committee - the "Military Center", staffed by the Georgian military. In 1923, the Military Center was actively working on a



მოუკიდებლობის კომიტეტი - „სამხედრო ცენტრი“, რომელიც ქართველმა სამხედროებმა დააკომპლექტეს. 1923 წელს „სამხედრო ცენტრი“ აქტიურად მუშაობდა სა-

plan to liberate Georgia, including a discussion of organizing a general popular uprising. Members of the Center developed an uprising plan for the mountainous regions, within the

ქართველოს გათავისუფლების გეგმაზე, მათ შორის განიხილებოდა საერთო სახალხო აჯანყება. ცენტრის წევრებმა ასევე შეიმუშავეს მთიულეთის აჯანყების გეგმა, რომლის ფარგლებშიც იგეგმებოდა წითელი არმიის ნაწილების მთიან რეგიონში შეტყუება და მათი სრული განადგურება პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მებრძოლების მიერ.

ბუნებრივია, რომ ჩეკას (კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის) ერთ-ერთი სამიზნე სწორედ „სამხედრო ცენტრი“ გახდა. ქართველი სამხედროები: გენერლები, ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი და კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, გენერალ-მაიორი ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე და კიდევ 12 სამხედრო დააპატიმრეს, გაასამართლეს ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. სხვადასხვა წყაროს თანახმად, განაჩენი აღასრულეს 1923 წლის 20 მაისს თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

რეპრესიების პირველი ფართომასშტაბიანი ტალღა, რომელმაც ასეულობით ადამიანი შეიწირა, საქართველოში 1924 წლის საერთო ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაიწყო. დასაჯეს აჯანყებულები, მათი ოჯახის წევრები, ეჭვმიტანილები. დახვრიტეს აჯანყებისთვის ემიგრაციიდან ჩამოსული პირველი რესპუბლიკის მოწინავე პოლიტიკოსები: ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფალავა, ნოე ხომერიკი და სხვები. აგვისტოს აჯანყებამ ნათლად აჩვენა საბჭოთა კავშირის სახე და ის, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს ნებისმიერი აქტიურობა შესაძლოა ძვირად დასჯდომოდათ.

მასობრივი რეპრესიების ყველაზე დიდმა ტალღამ კი ქვეყანას გადაუარა 1937-1938 წლებში, როდესაც იოსებ სტალინისა და პოლიტბიუროს მაღალჩინოსნების მიერ მოსკოვში შემუშავებული მეთოდებით სრულად განადგურდა არა მხოლოდ საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგე პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლასი, არამედ ყველა, ვინც განსხვავებულად ფიქრობდა. სრულად განადგურდა სოფლად მცხოვრები მშრომელი ფენა, შეძლებული მოსახლეობა, ე.წ. „კულაკები“. რეპრესიები გა-

framework of which it was planned to lure parts of the Red Army into these regions and for the combatants under Colonel Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili to completely destroy them.

Naturally, the Military Center became one of the first targets of Cheka (the All-Russian Extraordinary Commission for fighting the counter-revolution). Georgian militants: General Alexander Andronikashvili and Konstantine Abkhazi, Major General Varden Tsulukidze, and 12 other soldiers were arrested and persecuted with the accusation of attempting to stage an anti-Soviet uprising. All of them were sentenced to death. According to various sources, the sentence was enacted on May 20, 1923, in Tbilisi, on the Vake Park territory.

The first large-scale wave of repression that killed hundreds of people began in Georgia after the suppression of the 1924 national uprising. Rebels, their family members, and suspects were all punished. Leading politicians of the First Republic who returned for the uprising after having emigrated were shot: Benia Chkhikvishvili, Valiko Jugheli, Gogita Paghava, Noe Khomeriki and others. The August uprising clearly showed the real face of the Soviet Union and the fact that any activity may prove extremely costly for its political opponents.

The largest wave of mass repressions, however, swept the country in 1937-1938, when not only the political and social class opposed to the Soviet system, but all those who thought differently, were completely destroyed by the methods developed in Moscow by Joseph Stalin and the officials of the Politburo. The working class living in rural areas, the wealthy population, the so-called "Kulaks", were all eliminated. The repression continued according to one's ethnic and national belonging, displacing hundreds of thousands of people on the road to Central Asia, causing the disappearance of traces of Germans, Greeks, Muslim Georgians living in Meskheta and Adjara (so-called "Turkish Meskhethians"), and others living in Georgia for centuries.

The lower strata of the rural and urban population were added to the anti-Bolshevik parties fighting against the occupation

გრძელდა ეროვნული ნიშნით, ცენტრალური აზიის გზას გაუყენეს ასეულობით ათასი ადამიანი, რამაც გამოიწვია საქართველოში საუკუნეების მანძილზე მცხოვრები გერმანელების, ბერძნების, მესხეთსა და აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქართველებისა (ე.წ. „თურქი მესხების“) და სხვების კვალის გაქრობა.

საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ანტიბოლშევიკურ პარტიებსა და საბჭოთა ტირანიის მიმართ დაუმორჩილებელ ეროვნულ-პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას დაემატა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები: მუშები და გლეხები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ უმუშევრობას, უბინაობას, კოლექტივიზაციას, მიწების გაერთიანებას და ა.შ. თუმცა უკმაყოფილების გამოთქმას აშკარად ვერავინ ბედავდა. საკმარისი იყო ერთი სახუმარო სიტყვა (რეჟიმისთვის მიუღებელი), რომ მისი მთქმელი დაებარებინათ და „ხალხის მტრად“ გამოეცხადებინათ.

მასობრივი ტერორის პერიოდში ადამიანები ძილის წინ განსაკუთრებით მხურვალედ კოცნიდნენ ბავშვებს, ღამეებს კი ძილ-ბურანში, ფხიზლად ატარებდნენ და სახლის კართან გაჩერებული „შავი ყორნის“ ხმას აყურადებდნენ.¹

დიდი ტერორის დროს საბჭოეთში დამკვიდრდა პატიმართა ტანჯვა-წამების განსაკუთრებულად სასტიკი მეთოდებიც. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს სანამებლად საკუთარი ტექნიკა ჰქონდათ შემუშავებული, რაც გამოიხატებოდა ფსიქოლოგიურ წნეხში, ცემაში, „ცივ“ და „ცხელ კამერებში“ მოთავსებაში... ფიზიკური ზემოქმედების სხვა გაუგონარ მეთოდებში. დაკითხვის

¹რეპრესირებულებთან, როგორც წესი, ღამით მოდიოდა შავი მანქანა („შავი ყორანი“ - „Черный Воронок“) და ხალხი გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავდა.

regime and to the national-patriotic intelligentsia disobedient to the Soviet tyranny: workers and peasants who could not



get used to unemployment, homelessness, collectivization, land consolidation, etc. However, no one dared to express dissatisfaction openly. One joking word (unacceptable to the regime) could get the person summoned by the officials and declared an "enemy of the people."

During the period of mass terror, people kissed children especially fervently before going to bed, and the night they spent vigilantly, on the lookout for the sound of the "black

¹The repressed were usually visited at night in a black car ("Black Crow" - "Черный Воронок") and taken to the unknown direction.

დროს, თავდაპირველად, პატიმარი ცდილობდა, მოეგერიებინა ყველა პროვოკაციული შეკითხვა და მცდარი ბრალდება, თუმცა, წამებას ვეღარ უძლებდა, სრულად აღიარებდა დანაშაულს და ასახელებდა „თანამონაწილებს“, ზოგჯერ ყველას, ვისი გვარიც გაახსენდებოდა, ზოგჯერ ირონიულადაც, გიორგი სააკაძეს...²

ბოლო წლებში, მეტადრე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაიჩვია, რომ სსრკ პოლიტიბუროს მოკავშირე რესპუბლიკებიდან შერჩევით უგზავნიდნენ სიებს, რომლებზეც არის იოსებ სტალინისა და პოლიტიბუროს სხვა წევრების რეზოლუცია: „თანახმა ვარ“ („за“) და ხელმოწერა, რაც პიროვნების დახვრეტაზე თანხმობას ნიშნავდა. აღნიშნული „სტალინური სიები“ შემდეგ იგზავნებოდა რესპუბლიკებსა და ქალაქებში, სადაც საქმე აღიდრებოდა.

განაჩენი ფორმალურად გამოჰქონდა არასასამართლო ორგანოს, ე.წ. „განსაკუთრებულ სამეულს“, რომელიც სხვადასხვა „მოკავშირე“ სახელმწიფოსა თუ სხვა ტერიტორიულ ერთეულში იქმნებოდა და მასში შედიოდა პროკურორი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომი/ НКВД) და პარტიული მუშაკი. სამი ადამიანი ხშირად 10-15 წუთში ოფიციალურად ხელს აწერდა ადამიანის სიკვდილს, სინამდვილეში კი, დასახვრეტა და გადასახლებაზელთა სია მათ წინასწარ ედოთ მაგიდაზე.

სამეულის გადაწყვეტილების შემდეგ დასახვრეტ პირებს კიდევ ერთხელ, საბოლოოდ სცემდნენ, ჯგუფებად გადაჰყავდათ უკაცრიელ ადგილას (სავარაუდოდ, ეს იყო თბილისთან ახლოს, სოლანლულის ველი, ხოლო ბათუმთან - ხელვაჩაურის მიმართულებით, ასევე დახვრეტების პოლიგონები იყო ქუთაისსა და სოხუმში), სატვირთო მანქანის ძარით, სადაც წინასწარ ამოთხრილ ორმოებთან რამდენიმე ათეულ ადამიანს მწყობრად დააყენებდნენ, დახვრეტდნენ და შემდეგ მიწას მიაყრიდნენ. დოკუმენტებსა და დახვრეტის ადგილებს სრულიად საი-

²ტიციან ტაბიძემ დაკითხვაზე მეკავშირედ XVI-XVII საუკუნის ქართველი მოღვაწე, გიორგი სააკაძე დაასახელა, რის შემდეგაც შინსახკომმა გამოძებლებს დაავალა მისი მოძებნა და დაკავება.

raven" parked at the door of the house.¹

During the Great Terror, especially cruel methods of torturing prisoners were introduced in the Soviet Union. State security officers developed their own torture techniques, which manifested themselves in psychological pressure, beatings, placement in "cold" and "hot cells"... other unheard of methods of physical abuse. During the interrogation, the prisoner initially tried to deny all provocative questions and false accusations, but eventually he could not stand the torture, fully confessed to the crime and named "accomplices", sometimes everyone whose last names would the person remember, ironically some would even name Giorgi Saakadze...²

In recent years, especially after the collapse of the Soviet Union, it became clear that the USSR Politburo was selectively sending lists from allied republics containing the resolution of Joseph Stalin and other members of the Politburo: "I agree" ("за") and signature, which meant consent to the shooting of a person. These "Stalin's lists" were then sent to the republics and cities where the case was processed.

The verdict was formally issued by a non-judicial body, commissions of extrajudicial punishment made up of three officials (Troika) formed in various "allied" states or other territorial units, and included a prosecutor, a People's Commissariat of Internal Affairs (NKVD), and a party worker. The three people oftentimes signed the death warrant for another person within 10-15 minutes, while in reality the list of people to be shot or exiled lay on the table in front of them.

After the decision of the Troika, the victims were beaten again for the last time, then finally taken in groups to an empty place (presumably it was near Tbilisi, Soghanlugh Valley, and near Batumi - in the direction of Khelvachauri, as well as shooting area in Kutaisi and Sokhumi), with a truck, and at the spot, at pre-dug pits, several dozen people were lined up, shot, and

²Titsian Tabidze named Giorgi Saakadze, a Georgian figure of the XVI-XVII centuries, as an accomplice during the interrogation, after which the NKVD instructed the investigators to find and arrest this person.

დუმლოდ ტოვებდნენ, რათა ჭირისუფალს არ მისცემოდა ნეშტის მოძებნის, დატირებისა და დაკრძალვის საშუალება.

30-იანი წლების მასობრივი რეპრესიები კანონებით, დადგენილებებითა და ბრძანებებით იყო გამყარებული. ოფიციალურ დოკუმენტებში ვკითხულობთ: „საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა კლასობრივი მტრებისგან საკონცენტრაციო ბანაკებში მათი იზოლირების გზით. დახვრეტას ექვემდებარება ყველა,

then thrown into the ground. Documents and shooting sites were kept completely secret to prevent the deceased from finding, mourning, and burying the body.



ვინც დაკავშირებულია თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან, შეთქმულებებთან და მემამობხეებთან.“

განსასჯელები, მათ შორის „კულაკები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები“, ორ კატეგორიად იყოფოდა: 1. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ყველაზე მტრულად განწყობილი ელემენტები – ისინი ექვემდებარებოდნენ დაუყოვნებელ დაპატიმრებას და სამეულის მიერ მათი საქმეების განხილვის შემდეგ დახვრეტას. 2. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდა ყველა დანარჩენი, ნაკლებად აქტიური, მაგრამ მაინც მტრული ელემენტი. ისინი ექვემდებარებოდნენ დაკავებასა და ბანაკში დატუსაღებას 8-10 წლით,

The mass repressions of the 1930s were reinforced by laws, decrees, and orders. Official documents read: "It is necessary to protect the Soviet Republic from class enemies by isolating them in concentration camps. Everyone connected with the White Guard, the conspirators, and the insurgents are to be shot."

Defendants, including "kulaks, criminals, and other anti-Soviet elements," were divided into two categories: 1. The

ან უფრო დიდი ვადით, მათ შორის მეტად ბოროტი და „სოციალურად საშიშები“ კი სამეულის გადაწყვეტილებით, იმავე ვადით ციხის რეჟიმს.

საბედისწერო განაჩენი ე.წ. „სამეულებს“ სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) უმძიმესი მუხლებით გამოჰქონდათ: 58-1ა (სამშობლოს ღალატი), 58-2 (შეიარაღებული აჯანყება), 58-6 (ჭაშუშობა), 58-7 (საბოტაჟი), 58-8 (ტერორიზმი), 58-9 (დივერსია), 58-10 (აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოწოდებას), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისთვის), 58-12 (დანაშაულის შეუტყობინებლობა) და ა.შ.

კანონმდებლობაში ასახულ ამ ბრალდებებს, საქართველოში დაემატა ანექსიისა და დამოუკიდებლობის წართმევით გამოწვეული რეალური უკმაყოფილება, 1924 წლის აჯანყების შედეგები, რამაც საქართველო საბჭოთა რეპრესიების განსაკუთრებულ პოლიგონად აქცია. სტალინმა, ბერიამ და საბჭოეთის სხვა ლიდერებმა სამაგალითოდ დასაჯეს საკუთარი ქვეყანა, რათა სხვა სახელმწიფოებს არ გასჩენოდათ დანდობის განცდა... ამას დაემატა ამ პატარა კაცების პირადი წყენა, შური და ბოღმა, რომელიც მათ ცხოვრების მანძილზე მოჰყვებოდათ და როდესაც მოახერხეს, სამაგალითოდ გაუსწორდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

first category included the most hostile elements - they were subject to immediate arrest and execution by the Troika after their cases were heard. 2. The second category included all other, less active but still hostile elements. They were subject to detainment and imprisonment in the camp for 8-10 years or longer, while the most harmful and "socially dangerous" among them, per the decision of the Troika, would be put in prison for the same period.

The fateful verdict were issued by the Troikas for the violations of the most severe articles of the Criminal Code: 58-1a (treason), 58-2 (armed insurrection), 58-6 (espionage), 58-7 (sabotage), 58-8 (terrorism), 58-9 (disruption), 58-10 (agitation and propaganda containing a call against the Soviet government), 58-11 (any organized action to prepare and carry out a crime), 58-12 (Non-disclosure), and so on.

To these potential crimes prescribed by law was added the real discontent caused by the annexation and deprivation of independence in Georgia, the aftermath of the 1924 uprising, which made Georgia a special training ground for Soviet repression. Stalin, Beria and other Soviet leaders punished their own country to make an example so that other states would not have the impression of mercy... Added to this was the personal resentment, envy, and resentment of these little men that would follow them for the rest of their lives, and when they succeeded, they made examples out of innocent people.

პროკოპი ჩიგოგიძე

PROKOPI CHIGOGIDZE

„- ეს დაჭერები ეპიდემიას ჰგავს, აუცილებლად გაივლის, დროებით გაეცალე აქაურობას, წადი სამეგრელოში ჩემიანებთან.“

„- მე მღვდელი ვარ, ვის რას ვუშავებ?“

შვილის გადმოცემით, აღნიშნული დიალოგი 1937 წელს შედგა მღვდელ პროკოფი ჩიგოგიძესა და მის მეუღლეს, ანასტასია გულუას შორის...

პროკოფი ჩიგოგიძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ახალშენში. ბიძის, მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძის დახმარებით მიიღო სასულიერო განათლება. 1905-1909 წლებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

"- These arrests are like an epidemic, they will definitely pass, temporarily leave this place, go to Samegrelo to my family."

"- I am a priest, what harm have I done to anyone?"


According to their child, this exchange took place in 1937 between the priest Prokopi Chigogidze and his wife, Anastasia Gulua...

Prokopi Chigogidze was born in the village of Akhalshehi, Chokhatauri district. He received theological education with the assistance of his uncle, Maxime Iese Chigogidze. In 1905-



პარტიის წევრი. 1908 წელს ღვთისმსახურება დაიწყო ბათუმის სამხედრო ტაძარში, ხოლო 1923 წლიდან დახვრეტამდე იყო ბათუმის სოუქსოს სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი და იქვე ცხოვრობდა.

1909 he was a member of the Georgian Social-Democratic Party. In 1908, he started his priesthood in the Batumi Military Cathedral, and from 1923 until his shooting, he was a priest of the Batumi Cemetery Church and lived there.



პროკოფი ჩიგოგიძე წირვა-ლოცვას სამ – ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენაზე ატარებდა. საკუთარ და მეზობლის ბავშვებს ასწავლიდა ისტორიას. იყო ქველმოქმედი და მცირედი შემოსავლით ახერხებდა ოჯახის შენახვასა და სხვა უპოვართა დახმარებასაც. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქალაქში, მას კომუნისტი პარტიული ფუნქციონერებიც პატივს სცემდნენ და ფარულად ანათვლინებდნენ ბავშვებს.

პროკოფი ჩიგოგიძე პირველად 1923 წელს დააპატიმრეს. პატიმრობაში გაცივდა, შუა ყურის ჩირქოვანი ანთება დაემართა და სმენა დაკარგა. მეორედ კი 1937 წლის 7 დეკემბერს დააპატიმრეს. მას ბრალი დაედო საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა და აგიტაცია) და 58-11 (ორგანიზაციული კონტრრევოლუციური მოქმედება) მუხლებით. ბრალდების ტექსტში ვკითხულობთ: იყო მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის მიმართ და თავის ეკლესიაში ჩამოაყალიბა ანტისაბჭოთა ფაშისტური ჯგუფი კულაკებისგან. მათი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების და-

Prokopi Chigogidze conducted services in three languages - Georgian, Russian, and Greek. He taught history to his own and neighbor's children. He was a philanthropist and was able to support his family and help other poor people despite having a modest income. He enjoyed great authority in the city and was also respected by communist party functionaries, who had him secretly baptizing their children.

Prokopi Chigogidze was first arrested in 1923. During the imprisonment he caught a cold, developed a purulent inflammation of the middle ear, and lost his hearing. He was arrested for the second time on December 7, 1937. He was accused of crimes according to Articles 58-10 (Propaganda and Agitation) and 58-11 (Organizational Counter-Revolutionary Action) of the Criminal Code of the Georgian SSR. The text of the indictment reads: He was hostile to the Soviet government and the party and formed an anti-Soviet fascist group from the kulaks in his church. Their goal was to overthrow the Soviet government. The meeting of the special Troika, with the participation of Goglidze, Talakhadze and Morozov, was

მხობა. განსაკუთრებული სამეულის სხდომა, გოგლიძის, ტალახაძისა და მოროზოვის მონაწილეობით, ჩატარდა 1937 წლის 16 დეკემბერს. მღვდელი პროკოფი ჩიგოგიძე 22 დეკემბერს დახვრიტეს.


1945 წელს, მოსკოვში ყოფნისას, პროკოფი ჩიგოგიძის ქალიშვილმა ლიდამ კრემლის კანცელარიაში სტალინის სახელზე შეიტანა განცხადება მამის ბედის გასარკვევად. იგი უკვე თბილისში იყო დაბრუნებული, როდესაც შინსახკომში გამოიძახეს და მისცეს ცნობა იმის შესახებ, რომ მამა 1941 წელს არხანგელსკში გარდაიცვალა გულის ათეროსკლეროზით. ოჯახმა მხოლოდ 1955 წლის რეაბილიტაციის ცნობიდან შეიტყო სიმართლე.

held on December 16, 1937. Priest Prokopi Chigogidze was shot on December 22.


In 1945, while in Moscow, Prokopi Chigogidze's daughter, Lida, applied to the Kremlin Chancellery to Stalin in order to find out her father's fate. She had already returned to Tbilisi when she was called home and informed that her father had died of heart atherosclerosis in Arkhangelsk in 1941. The family only learned the truth from a 1955 rehabilitation report.



հոգևակ նմուս սննդամուրա և հիմնական



միտոսոցիոն ամուսն քանակ



տղան կոմունա և այլն




հոգևակ և մամ քանակ



սմ միմուն քանակ



հոգևակ միմուն և միմուն և հիմնական



გალაქტიონ მსხილაძე

GALAKTION MSKHILADZE

„ბებიას ბიძას გალაქტიონი ერქვა... ვანში დაიბადა. ბებიას ახსოვდა, რომ 1937-ში, დახვრეტისას, 19 წლის იყო, ანუ დაახლოებით 1918 წელს უნდა დაბადებულიყო... ბებიას გადმოცემით, ბიძამისი მენშევიკებთან დაახლოებულია... ბებია დედის მონათხრობიდან იხსენებდა, რომ გალაქტიონი ტყეში იმალებოდა თანამოაზრეებთან ერთად და ბოლშევიკებთან არაერთი შეხლა-შემოხლა ჰქონდა. მახსოვს ბებიას ფრაზა, რას ერჩოდა საკუთარ თავს, არ ვიციო...“

განსაკუთრებით ტრაგიკულია დახვრეტის ეპიზოდი. 19 წლის გალაქტიონს ბოლშევიკები დიდხანს დასდევდნენ და არაერთხელ შეუთვალეს, დანებებულიყო, ოჯახის წევრებითაც ემუქრებოდნენ. საბოლოოდ, სწორედ ამ გზით გადაწყვიტეს მისი დაკავება. ერთ დღეს ჩემს დიდ ბაბუასთან, გალაქტიონის მამასთან, მილიცია მისულა და განყოფილებაში უნდა გამოგვეყვო, უთქვამთ... მივიდა თუ არა განყოფილებაში, დაიჭირეს, შვილს კი შეუთვალეს, გამოჩნდი, თორემ მამაშენს მოვკლავთო. ისიც მისულა მაშინდელ მილიციაში და მალევე დასახვრეტად წაუყვანიათ. არაერთი ადამიანისგან მსმენია, სად იყო საბჭოთა პერიოდში ვანში დასახვრეტი ადგილი. როგორც ვიცი, დახვრეტილთა ძვლები იქ დღესაც ყრია. სწორედ ამ ადგილას დახვრიტეს ბებიას 19 წლის ბიძა და გვამთან არავის უშვებდნენ. შვილმოკლულ დედას შეეგროვებია მთელი თავისი ძვირფასეულობა და შვილის ცხედრის სანაცვლოდ დარაჯისთვის შეუთავაზებია. დარაჯსაც შეუშვია, თუმცა მრავალ დახვრეტილში გაძნელებია ცხედრის ამოცნობა. თურმე ბებიას ბიძა დედამისს თითზე ბეჭდით ამოუცვნიდა. შემდეგ, შუალამით, მარტოს ჩუმად გადაუსვენებია ურმით და დაუმარხავს ისე, რომ არავის სცოდნოდა მისი საფლავი.

მსგავსი შემთხვევა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში არაერთი ყოფილა. ამ ერთი ახალგაზრდა ადამიანის ტრაგედიაში კარგად ჩანს საბჭოთა სისტემის სასტიკი სახე – ჰყვება ჯონი დიასამიძე, გალაქტიონ მსხილაძის შთამომავალი.


"My grandmother's uncle was called Galaktion... He was born in Vani. Grandmother remembered that in 1937, when he was shot, he was 19 years old, that is, he must have been born around 1918... According to grandmother, her uncle had gotten close to Mensheviks... Grandmother recalled from her mother's story that Galaktion was hiding in the woods with his comrades and had numerous clashes with the Bolsheviks. I remember my grandmother saying what: I don't know what had gotten into him..."

The shooting story is especially tragic. 19-year-old Galaktion was persecuted by the Bolsheviks for a long time and was repeatedly asked to surrender, even through threats to his family members. In the end, it was in this way that they decided to arrest him. One day, the militia paid a visit to my great grandfather, Galaktion's father, and told him he had to follow them to the department... As soon as they arrived there, they arrested him and informed his son that if he didn't show up, his father would be killed. He went to the then militia and was soon shot. I have heard from many people where the execution grounds in Vani was during the Soviet period. As far as I know, the bones of the shot are still lying there today. It was in this place where my grandmother's 19-year-old uncle was shot and no one was allowed to see the body. His mother collected all her jewels and offered them to the guard in exchange for her son's body. The guard allowed her in, but it was difficult to identify the body among the many who had been shot. It turns out that his mother identified my grandmother's uncle with a ring on his finger. Then at midnight alone he was silently transported in a cart and buried so that no one knew his grave.

There were many similar cases during the Soviet occupation. The tragedy of this young man clearly shows the cruel face of the Soviet system," said Joni Diasamidze, a descendant of Galaktion Mskhiladze.

წმინდა გიორგიის მონასტრის მხილობის წიგნი.

წმინდა გიორგიის მონასტრის მხილობის წიგნი. მონასტრის მხილობის წიგნი.



ნიკი ალექსანდრიდი

NICKY ALEXANDRIDI

„6 თვის დაოჯახებული ყოფილა დედაჩემი, ნიკი ალექსანდრიდი, როცა ერთ ავბედით საღამოს, ღამის სამ საათზე გაგვადვიდა ძაღლის გაბმულმა ყეფამო, იხსენებდა მამაჩემი, ლეო კალანდაძე.

წამოვხტი ზედ და კარი როცა გავაღე, შემოვიდნენ სახლში მაშინდელი შინსახკომის უფროსი და კიდევ ორი შეიარაღებული პირი. პირველად ვიფიქრე, „ღვინის ტრესტში“ ვმუშაობდი და ეტყობა რამე დარღვევა აღმომიჩინესო.

დედაჩემს უყვირია: ლეო, ბიჭო, მგონი, გაპატიმრებენო და ტირილი დაუწყია...

უფროსმა თავაზიანად მოგვმართა, დანყნარდით, სალპარაკო გვაქვს, ყველა ტიპის იარაღი, ტყვია, ასაფეთქებელი და ა.შ. შემოიტანეთო...

ეს ყველაფერი ფულთან ერთად მქონდა შენახული, გამოვიტანე ოთახიდან და მაგიდაზე დავანყვე, ფული დამიბრუნა, დანარჩენი მის თანმხლებს გადასცა, გარეთ გაიტანეო...


"My mother, Nicky Alexandridi, had been married for 6 months, when one unfortunate evening, at three o'clock in the morning, the dog barking woke us up, recalled my father, Leo Kalandadze.


I quickly got up and when I opened the door, the then head of the NKVD and two other armed people entered the house. At first I thought, since I was working in the "Wine Trest", some violation by me had been discovered.

My mother had cried out: Leo, I think they're here to arrest you, and started weeping...

The chief politely addressed us, tell us to calm down, that we have talk, and to bring in all kinds of weapons, bullets, explosives, etc...

I had stored all this with the money, I took it out of the room and put it on the table. He returned the money to me, handed over the rest to his companions, telling them to take it outside...





მერე ადგა ფეხზე და დამნაშავესავით დაგვიჩყო ლაპარაკი: რა ვქნა, მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ბრძანებაა მოსული კრემლიდან, ოჯახში, რომელშიც სხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, დაუყოვნებლივ უნდა გავასახლოთო...

დედაშენის კვილიმა შეძრა გუბაზეულის ხეობა და მე ის ორი ბიჭი ძლივს მამაგრებდაო, მიყვებოდა მამა. ამას ენა ახლა ადვილად იტყვის, მაგრამ მოჰკიდეს ხელი და წაიყვანესო...

მასთან ერთად წაიყვანეს მისი ბებია, ბაბუა და ძმები.

დედა გადაასახლეს თურქესტანის ოლქში, 1949 წელს. დაბრუნდა 1956 წელს“ – იხსენებს რეპრესირებული ნიკი ალექსანდრიდის ქალიშვილი, თამილა კალანდაძე.

Then he stood up and started talking to us like he was guilty, saying: It's hard to say this, but the order came from the Kremlin, in a family where people of other nationalities live, I must immediately have them resettled...

Your mother's scream shook the Gubazeuli gorge and I was barely restrained by those two boys, my father told me. The tongue can easily say this now, that she was grabbed and taken...

They took her grandmother, grandfather, and brothers with her.

Mother was deported to the Turkestan region in 1949. She returned in 1956," recalls Tamila Kalandadze, daughter of the repressed Nicky Alexandridi.

რაისა შიშლო-საბაშვილი

RAISA SHISHLO-SABASHVILI

რაისა ბორისის-ასული შიშლო-საბაშვილი დაიბადა 1883 წელს (როგორც თავად ანკეტაში უთითებს, თუმცა სამეულის სხდომის ოქმში დაბადების თარიღად მითითებულია 1887 წელი), პოლონეთში, ქალაქ სუვალიკში.

ფლობდა შვიდ ენას: ქართულს, რუსულს, ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, იტალიურსა და პოლონურს.



რაისა შიშლო-საბაშვილს შთამბეჭდავი განათლება ჰქონდა მიღებული:

- ჟენევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი (ბაკალავრის ხარისხით);
- ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (დოქტორის ხარისხით);

Raisa Shishlo-Sabashvili was born in 1883 (as indicated by her in the questionnaire, although the date of birth in the minutes of the Troika meeting is 1887) in the city of Suwalki, Poland.

She was fluent in seven languages: Georgian, Russian, English, French, German, Italian, and Polish.




Raisa Shishlo-Sabashvili had received an impressive education:

- ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო-ქირურგიული ფაკულტეტი (დოქტორის ხარისხით);

- Faculty of Natural Sciences, University of Geneva (Bachelor's degree);

- Faculty of Medicine, University of Geneva (PhD);



- მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (წოდებით „ქალი ექიმი“).

- Faculty of Medicine and Surgery, University of Edinburgh (PhD);

სამედიცინო პრაქტიკას ეუფლებოდა სარატოვის, კოსტრომის, მოსკოვის ერობებში, ასტრახანის საავადმყოფოში.

- Faculty of Medicine, Moscow University (with the title "Female Doctor").

ჩრისა შიშლო-საბაშვილი დაბლვეულთა ქვეგანყოფი-

ლების ექიმად და ჭაობის უბნის ამბულატორიის გამგედ მუშაობდა 1923 წლის 10 დეკემბრიდან. ის ექიმთა საზოგადოების და მისი სამალარიო კომისიის აქტიური წევრი იყო. ხშირად გამოდიოდა სიტყვით და მონაწილეობდა კამათში. 1925 წლის 13 იანვარს რაისა შიშლო-საბაშვილი გამოვიდა მოხსენებით: „შრატით დიაგნოსტიკისა და ვენერული დაავადებების თანამედროვე მკურნალობა“, რომელსაც დამსწრეთა დიდი ინტერესი და მრავალი შეკითხვა გამოუწვევია (სულ 18), ხოლო მოხსენების განხილვა 2,5 საათს გაგრძელებულა. შეკითხვებზე გაცემული პასუხებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. შიშლო-საბაშვილი საკმაოდ კარგად ფლობდა სამედიცინო ლაბორატორიულ საქმეს, ასევე ის დიდ ცოდნასა და ერუდიციას ავლენდა დერმატოვენეროლოგიასა და მალარიოლოგიაში.

ექიმი რაისა შიშლო-საბაშვილი 1927-1937 წლებში მუშაობდა აჭარის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერიის ექიმად.

იგი დააკავეს 1937 წელს.

11 ნოემბერს განსაკუთრებულმა სამეულმა, სისხლის სამართლის კოდექსის 58-11 მუხლის საფუძველზე, მას დასდო ბრალად, რომ ის აწყობდა კონტრევოლუციური ორგანიზაციის არალეგალურ შეკრებებს საკუთარ სახლში და იზიარებდა ანტისაბჭოთა შეხედულებებს.

განაჩენი აღასრულეს 1937 წლის 7 დეკემბერს.

She practiced medicine in the hospitals of Saratov, Kostroma, Moscow, Astrakhan.


Raisa Shishlo-Sabashvili worked as a doctor in the insured subdivision and as the manager of the swamp district outpatient clinic from December 10, 1923. She was an active member of the medical community and its malaria commission. She often gave speeches and participated in debates. On January 13, 1925, Raisa Shishlo-Sabashvili delivered the report: "Serum Diagnosis and Modern Treatment of Venereal Diseases", which aroused great interest and many questions from the audience (18 in total), with the discussion lasting 2.5 hours. From the answers to the questions, we can conclude that R. Shishlo-Sabashvili was fairly good at medical laboratory work and also showed great knowledge and erudition in dermatovenereology and malariology.

Dr. Raisa Shishlo-Sabashvili worked as a doctor at the Adjara Skin and Venereal Diseases Dispensary in 1927-37.

She was arrested in 1937.

On November 11, a special Troika, under Articles 58-11 of the Criminal Code, accused her of organizing illegal gatherings of a counter-revolutionary organization in her own home and sharing anti-Soviet views.

The verdict was enacted on December 7, 1937.



ისტორიის გაკვეთილი

History Lesson



978-9941-8-4017-3